კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

კვლევის ანგარიში
(პროგრამების შეფასება 2024)

შპს ბარაკონი

სარჩევი

შესავალი *3*
კვლევის მიზანი *3*
კვლევის მეთოდოლოგია *4*
ეთიკური მოსაზრებები *6*
მონაცემთა ანალიზი - მასწავლებლის კითხვარის ანალიზი *6*
მონაცემთა ანალიზი - პროფესიულ სტუდენტთა კითხვარის ანალიზი *13*
საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ანალიზი *19*
ვერიფიკაციის შედეგები *21*
კვლევის ძირითადი მიგნებები *25*
რეკომენდაციები *27*
დანართი 1 ..... *29*
დანართი 2 ..... *36*
დანართი 3 ..... *44*

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტებს, მოთხოვნებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს. ამ მიზნით, კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის დანიშნულებაა კოორდინირებული ქმედებების ერთობლიობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება. ხარისხის მართვის პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება. პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება. შესაბამისად, კვლევის შედეგები გამოყენებულია რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომელთა მიზანი არის ხელი შეუწყოს პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა ინფორმაციის ტექნოლოგიის, საექთნო საქმისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები და მოდულთა განმახორციელებლები. საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა მოდულზე დასწრება-დაკვირვება და შეფასების მტკიცებულებათა ვერიფიკაცია.

გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

კვლევის მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება. აქედან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;

- პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელთა საქმიანობის შესწავლა;
- პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

კვლევის მეთოდოლოგია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - მოდულთა განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. ამისთვის კოლეჯი მიმართავს შერეული კვლევის მეთოდს - გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კითხვარების შედგენა, გამოკითხვების წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს პროფესიული სტუდენტების შეფასება ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარები, რომლებიც მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგებოდა რამდენიმე თემატური მოდულისგან/ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებული იყო რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევდა. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ იყვნენ შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.

კვლევის ხარისხი დამოკიდებული იყო კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. კერძოდ:

- პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისას გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებული იყო იქიდან, რომ იძლეოდა რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის

შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის კოორდინატორების შერჩევისას გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - მიზნობრივი შერჩევა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, შერჩევა კონკრეტული მიზნისთვის იყო არჩეული, რადგან იგი მოგვცემდა საშუალებას მიგვეღო ინფორმაცია იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრი იციან საკვლევი საკითხის შესახებ.

პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და სივრცეში იყო შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში, მათ ინფორმაციის გადამოწმებისა და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევდა. ძლიერ მხარესთან ერთად, ელექტრონულ გამოკითხვას სუსტი მხარეც აქვს. კერძოდ, შესაძლებელია რესპოდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა.

კოლეჯის მიერ განხორციელებული ინფორმაციის ტექნოლოგიის, საექთნო საქმის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს გავლილი მოდულები. საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ მიმდინარეობდა მოდულთა საკონტაქტო საათზე დასწრება და სტრუქტურირებული კითხვარით წინასწარ განსაზღვრული მონაცემების შეგროვება. კვლევისთვის რესპოდენტთა ამ კატეგორიის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ისინი პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენდნენ. უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესში და შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ პროფესიულ სტუდენტთა მიერ საკონტაქტო საათებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებაში.

ამგვარი კვლევა კოლეჯში რეგულარულად ტარდება, რადგან ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული განათლების მასწავლებლების (მოდულის განმახორციელებლების) საქმიანობისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლა-სწალების პროცესის შესახებ.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებული იყო ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- თითოეული პროფესიული სტუდენტისგან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

მონაცემთა ანალიზი – მასწავლებლის კითხვარის ანალიზი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა (პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პრაქტიკის ინსტრუქტორებთა) გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში. შესაძლებელია რესპოდენტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ან/და რეკომენდაციები გახდეს პროგრამებში ცვლილებების განხორციელების მიზეზი. აქედან გამომდინარე, გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა პერსონალის დამოკიდებულების შესწავლა კოლეჯის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ და იმ საკითხების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა ინფორმირებულობის დონის შეფასება დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა ინფორმირებულობის დონის შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დაგეგმვის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა კმაყოფილების შეფასება კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსების მიმართ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შედეგების დადასტურების პროცესის შეფასება.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც

წარმოადგენენ ინფორმაციის ტექნოლოგიის, საექთნო საქმის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის განმახორციელებლებს. გამოკითხვა ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2024 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებში და განხორციელდა ელექტრონულად, Google Forms-ის მეშვეობით.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ გამოკითხვაში მონაწილე 17-ვე პროფესიული განათლების მასწავლებელი იცნობს კოლეჯის ვებგვერდს. თითოეული მათგანი სწორად უთითებს ვებ-გვერდის მისამართს. აღსანიშნავია რომ 2023 წლის კვლევის ანგარიშის მიხედვით, რესპოდანტთა 29% არასწორად უთითებდა ვებგვერდის მისამართს, ხოლო 4 %-ს საერთოდ არ ჰქონდა, ან არასწორად ჰქონდა მითითებული.

დიაგრამა #1 - მიუთითეთ ვებგვერდის მისამართი





გამოკითხულ რესპოდენტთა 87,5% იცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, ხოლო 12,5% არ იცობს. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირებულობა აღნიშნული საკითხის მიმართ, 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია.

დიაგრამა #2 - იცნობთ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმებს?



მოდულის განმახორციელებელთა უმრავლესობა (76,5%) იცნობს მასალებისა (გამოყენებული პროდუქტები, ქიმიური მასალები, სამედიცინო ინვენტარი და სხვა) და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და ნარჩენების უტილიზაციის წესებს. რაც შეეხება კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს, გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა (94,1%) იცნობს მათ. წინა წლის მონაცემებთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებლები გაზრდილია დაახლოებით 10 %-ით.

დიაგრამა #3 - იცნობთ თუ არა კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს?



საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა იცნობს კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს, კოლეჯის ვებგვერდს და შეუძიათ ამ უკანასკნელის დასახელება. ასევე, ისინი იცნობენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, კოლეჯის მასალებისა (გამოყენებული პროდუქტები, ქიმიური მასალები, სამედიცინო ინვენტარი და სხვა) და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და ნარჩენების უტილიზაციის წესებს.

სწავლების პროცესის დაწყებამდე სწორად გაწერილი სასწავლო პროცესის გეგმა იძლევა სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, მოდულთა განმახორციელებელი პირების შეფასებები მნიშვნელოვანია. რესპონდენტთა უმრავლესობას (94,1%) სწავლების პროცესის დაწყებამდე, დეტალურად ჰქონდა გაწერილი სასწავლო პროცესისთვის კალენდარული გეგმა. მოდულთა განმახორციელებელთა მიერ კალენდარული გეგმების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს მოდულის დამხმარე ჩანაწერები, რადგან სასწავლო პროცესი წარიმართოს მოდულით გაწერილი სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კალენდარული გეგმის შემუშავებისას რესპოდენტთა 88,2%-მა გაითვალისწინა მოდულის დამხმარე ჩანაწერები. ყველა გამოკითხული (100%) მიიჩნევს, რომ რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს შეესაბამება, ხოლო სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით ტრენინგების საჭიროებას გამოკითხულთა 76,5% ვერ ხედავს, 17,6% საჭიროებს, ხოლო 5,9% მიიჩნევს, რომ

ნაწილობრივ საჭიროებს. გამოკითხული რესპოდენტებიდან, რომლებიც ტრენინგის საჭიროებას ხედავენ, კონკრეტულად არ ასახელებენ, რა მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. ზოგადად, სიახლეების გასაცნობად განიხილავენ ტრენინგის ფორმატსაც.

საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა 94,1% აფიქსირებს მონაწილეობას იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების ადაპტირების პროცესში, რომელსაც ახორციელებს. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შექმნისას/ადაპტირებისას ხდებოდა მათი აზრის გათვალისწინება. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მოდულში კონკრეტული საკითხების/თემების დასასწავლად გამოყოფილი დრო საკმარისია. რესპოდენტთა უმრავლესობას სწავლების პროცესის დაწყებამდე, დეტალურად ჰქონდა გაწერილი კალენდარული გეგმა, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მოდულის დამხმარე ჩანაწერები.

დიაგრამა #4 - მონაწილეობდით თუ არა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების ადაპტირების პროცესში, რომელსაც ახორციელებთ?



გამოკითხული 17-ვე რესპოდენტისთვის (100%) სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომი და ამავდროულად საკმარისია საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის.

გამოკითხულ რესპოდენტთა 88,2%-ის შემთხვევაში, არ ყოფილა ისეთი მასალა-ინვენტარი, რომელიც მითითებული იყო მოდულში და სწავლების დროს არ გამოუყენებიათ, მხოლოდ 11,8%-ს (2 რესპონდენტი) ჰქონდა მსგავსი შემთხვევა. თუმცა, რესპონდენტები არ ასახელებენ არც მასალა-ინვენტარს და არც იმ მიზეზებს, რის გამოც არ გამოუყენებიათ ისინი. 17 გამოკითხულიდან 13 რესპოდენტი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, დამატებით რაიმე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურველობის საჭიროება არ დგას, 1 მიიჩნევს, რომ დგას, ხოლო სამ გამოკითხულს მიაჩნია, რომ კოლეჯი ნაწილობრივ საჭიროებს დამატებით მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, თუმცა მხოლოდ ერთი აკონკრეტებს საჭიროებებს - „აუცილებლობას არ

წარმოადგენს, მაგრამ სასურველი იქნებოდა მიკროსკოპების მოდელების განახლება“. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა აბსოლიტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსში ზედმეტი არაფერია.

დიაგრამა #5 - პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, დამატებით რაიმე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროება თუ დგას?



რაც შეეხება პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო მასალების მიწოდებას, პროფესიული განათლების მასწავლებლები იყენებენ ერთდროულად რამდენიმე ფორმას. კერძოდ, გამოიყენება ჯგუფებში მასალების ატვირთვა, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა, დისკზე/ფლეშკაზე ჩაწერა და სხვა.

დიაგრამა #6 - რა ფორმით აწვდით პროფესიულ სტუდენტებს საგანმანათლებლო რესურსებს?



მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ასევე იკვეთება, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა:

- თანმიმდევრულად მიჰყვება მოდულში განსაზღვრულ თემატიკას;
- ინტერესდება რამდენად გასაგებია პროფესიული სტუდენტებისათვის ახალი მასალა;
- აძლევს პროფესიულ სტუდენტს საკუთრი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას;
- პროფესიულ სტუდენტებთან ერთად წარმართავს დისკუსიებს პროფესიასთან დაკავშირებულ

სხვადასხვა საკითხზე;

- მოდულის დაწყებისას წინასწარ აცნობს პროფესიულ სტუდენტებს, თუ როგორ მოხდება მათ მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება/შეფასება;
- მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებას ახორციელებს შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად;
- სწავლის შედეგის დადასტურებისთვის/შეფასებისათვის განკუთვნილი დრო პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის საკმარისია;
- პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის განმახორციელებელი პირები ერთმანეთს უზიარებენ შედეგებსა და გამოცდილებას.

საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა სრული უმრავლესობა თანმიმდევრულად მიჰყვება მოდულში განსაზღვრულ პროგრამის თემატიკას, ინტერესდება გასაგებია თუ არა პროფესიული სტუდენტებისათვის ახსნილი მასალა, აძლევს პროფესიულ სტუდენტებს საკუთრი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას.

გამოკითხულთა 82,4% ყოველთვის ცდილობს პროფესია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით ასწავლოს, ხოლო 17,6%იშვიათად ცდილობს. 93,3% ყოველთვის ცდილობს სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გახადოს. ამისთვის სწავლების პროცესში იყენებს სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომელიც შეესატყვისება სწავლების სხვადასხვა მეთოდების ძირითად პრინციპებს - ვიზუალიზაცია (თვალსაჩინოებისგამოყენება), სიმულაცია - როლური თამაში, გონებრივი იერიში და ა.შ. ახალი საკითხის ახსნამდე, პროფესიულ სტუდენტებს მოსაზრებას ეკითხება რესპონდენტთა 88,2%, ხოლო ყველა გამოკითხული (100%) პროფესიულ სტუდენტებთან ერთად წარმართვს დისკუსიებს პროფესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ახსნის პროცესში გამოკითხულთა 87,5% თავად ახდენს პრაქტიკული დავალების დემონსტრირებას.

ყველა გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებელი (100%) ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის განმახორციელებელი პირები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შედეგებსა და გამოცდილებას.

მონაცემთა ანალიზი – პროფესიულ სტუდენტთა კითხვარის ანალიზი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს. გამოკითხვა ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში და განხორციელდა ელექტრონულად, Google Forms-ის მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის ტექნოლოგიის, საექთნო საქმისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 72-მა პროფესიულმა სტუდენტმა. მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო პროცესი. თემატური ჯგუფები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ზოგადი ინფორმაცია;
- ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შესახებ;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების შესახებ;
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება და შედეგების დადასტურება/შეფასება.

კვლევაში ჩართული თითოეული პროფესიული სტუდენტი შეფასებას ახორციელებდა კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების შესახებ. კვლევაში ჩართული პროფესიული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი შენდეგნაირად გადანაწილდა:

- ინფორმაციის ტექნოლოგია (2023 წლის მიღება) – 19 რესპოდენტი;
- ფარმაცია (სააფთიაქო) 2023 წლის მიღება - 17 რესპონდენტი;
- ფარმაცია (სააფთიაქო) 2022 წლის მიღება - 15 რესპონდენტი;
- საექთნო საქმე (2023 წლის მიღება) – 7 რესპონდენტი;
- საექთნო საქმე (2022 წლის მიღება) – 5 რესპონდენტი;
- საექთნო საქმე (2021 წლის მიღება) – 9 რესპონდენტი.

საანგარიშო პერიოდში, აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტთა ნახევარზე მეტმა

მიიღო მონაწილეობა კვლევაში. ფარმაციის (სააფთიაქო) და ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიული სტუდენტები თითქმის ერთი და იგივე პროცენტული მაჩვენებელით იყვნენ ჩართულნი კვლევაში. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები პასიურად ჩაერთვნენ კვლევაში. რესპონდენტთა ასაკობრივი დიაპაზონი მერყეობდა 17-დან 54-წლამდე.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ 72 გამოკითხული პროფესიული სტუდენტიდან 47-მა საკუთარი სურვილით გადაწყვიტა ესწავლა კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. მათ ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ მოენიშნათ რამდენიმე ალტერნატიული პასუხი. ვინაიდან 66%-მა საკუთარი სურვილით აირჩია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად კვლევაში ჩართულ პროფესიულ სტუდენტთა უმეტესობას სრულად ან ნაწილობრივ ჰქონდათ გაცნობიერებული ინტერესი კონკრეტული პროფესიის მიმართ.

კოლეჯის ცნობადობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ პოტენციური პროფესიული სტუდენტები, რა გზით იღებენ ინფორმაციას კოლეჯის შესახებ. გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 35%-მა პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიიღო ინტერნეტის მეშვეობით. ასევე, მნიშვნელოვანი წილი პროცენტულობისა (25%-25%), მოდის მშობლებსა და მეგობრებზე. აღსანიშნავია, მხოლოდ ერთ რესპონდენტს ჰქონდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ სკოლიდან (სკოლის მასწავლებლისგან, კლასის დამრიგებლისგან ან/და სკოლის დირექტორისგან).

დიაგრამა #7 - ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ?



პროგრამაში ჩართვამდე გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 76%-ს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ აინტერებდათ შერჩეული პროფესია, 22%-ს ნაწილობრივ, ხოლო 2%-ს საერთოდ არ ჰქონდა გაცნობიერებული.

დიაგრამა #8 - პროგრამაში ჩარვამდე, რამდენად გქონდათ გაცნობიერებული/გაანალიზებული, რომ ეს პროფესია გაინტერესებდათ?



მიღებული მონაცემებით იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები დადებითად აფასებენ კოლეჯის საქმიანობას. გამოკითხულთა უმრავლესობამ კოლეჯის წარმომადგენლებისგან მიიღო ინფორმაცია მოდულური სწავლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების შესახებ, ხოლო მოდულთა განმახორციელებლებმა მათ გააცნეს მოდულის სწავლის შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და მათი მიღწევის, დადასტურების პირობები. მათივე შეფასებით, პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამოადგებათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

დიაგრამა #9 - ვფიქრობ, რომ მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.



კვლევის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ სწავლების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლის უნარები, ქმედებები და დამოკიდებულებები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, მასწავლებელები კარგად ფლობენ საგანს/დარგს, რომელსაც ასწავლიან და მათ მიერ ახსნილი მასალა ადვილად გასაგებია. გამოკითხულთა შეფასებით, ახალი სამუშაოს შესრულებისას, პროფესიული განათლების მასწავლებლები აკვირდებიან და რჩევებს აძლევენ მათ, ასევე განიხილავენ პრაქტიკულ სამუშაო შემთხვევებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასებისას, ყველა გამოკითხული პროფესიული სტუდენტი მიიჩნევს, რომ:

- პროფესიული განათლების მასწავლებლები აცნობენ მოდულის სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებს პროფესიულ სტუდენტებს;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი აცნობს, თუ როგორ მოხდება მიღწევების შეფასება მოდულის ფარგლებში;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი გასაგებად ხსნის ახალ საკითხს;

- პროფესიული განათლების მასწავლებელი კარგად ფლობს საგანს, რომელსაც ასწავლის;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკულ სამუშაო შემთხვევებს განსახილველად;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი რწმუნდება, რამდენად გაიგო პროფესიულმა სტუდენტმა მასალა;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს პროფესიული სტუდენტის მოტივირებას;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებთან ერთად წარმართავს დისკუსიებს პროფესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე;
- ახალი სამუშაოს შესრულებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი აკვირდება და რჩევებს აძლევს პროფესიულ სტუდენტებს;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი ახალი დავალების ახსნისას თავად ახდენს პრაქტიკული დავალების დემონსტრირებას;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი აწვდის კონკრეტული საკითხის შესაბამის სასწავლო მასალებს.

გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობის შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს პროფესიული სტუდენტის მოტივირებას, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, პროფესიულ სტუდენტებთან ერთად დისკუსიების წარმართვას პროფესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

გამოკითხვის ფარგლებში, პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს სასწავლო გარემო და რესურსები. მათი შეფასებით, შეთავაზებული სასწავლო რესურსები აკმაყოფილებს მათ სასწავლო საჭიროებებს; სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია მათთვის; სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა მთელი ჯგუფისთვის საკმარისია - ძირითადად არ აქვთ პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით; სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია მოდულის მიზნების შესაბამისად. გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთაგან რამდენიმე პროფესიული სტუდენტი აფიქსირებს, რომ სასწავლო აუდიტორიები მოდულის მიზნების შესაბამისად ნაწილობრივაა აღჭურვილი (დიაგრამა #10), სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეული (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის ნაწილობრივ საკმარისია, თუმცა არ აკონკრეტებენ, რას გულისხმობენ ნაწილობრივში (დიაგრამა #11).

დიაგრამა #10 - სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი



დიაგრამა #11 - სასწავლო პროცესისთვის საჭრო მასალა-ნედლეული (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისათვის საკმარისია



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობის შეფასებით, სწავლის პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პირი წინასწარ აცნობდა მათ, თუ როგორ მოხდებოდა სწავლის შედეგების დადასტურება/შეფასება. მათი შეფასებით, მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედგების დადასტურება შესრულების კრიტერიუმების თანახმად განხორციელდა. იგივე ტენდენცია გრძელდება, როდესაც გამოკითხული რესპოდენტები აფასებენ შედეგის დადასტურებისთვის განკუთვნილ დროს.

დიაგრამა #12 - შეფასებისათვის/შედეგის დადასტურებისთვის განკუთვნილი დრო იყო თუ არა საკმარისი?



კითხვარის ბოლოს პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებით აზრი იმ საკითხებზე, რაც არ იყო გაჟღერებული კითხვარში. მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები კმაყოფილნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო პროცესით.

საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ანალიზი

კოლეჯის მიერ განხორციელებულ სამივე პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხორციელდება საკონტაქტო საათზე დასწრება, როგორც A და B გარემოში, ასევე C გარემოში. ასევე, მონიტორინგი განხორციელდა პარტნიორ ორგანიზაციებში

პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობაზე. საანგარიშო პერიოდში საკონტაქტო საათზე დასწრება განხორციელდა:

- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 მოდულის ფარგლებში, მათ შორის სამი A გარემოში და სამი ABC გარემოში;
- ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 7 მოდულის ფარგლებში, მათ შორის ერთი B გარემოში, ხუთი A გარემოში და ერთი AC გარემოში;
- საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 მოდულის ფარგლებში, მათ შორის ოთხი A გარემოში, ერთი AC გარემოში და ერთი B გარემოში;
- საექთნო საქმისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოდულზე „ქართული ენა B1“ 2 - ჯერ განხორციელდა დასწრება საკონტაქტო საათზე.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბსოლიტური უმრავლესობის შემთხვევაში საკონტაქტო საათის თემატიკა შეესაბამებოდა წინასწარ გაწერილ კალენდალურ გეგმას. აგრეთვე, სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამებოდა მოდულის დამხმარე ჩანაწერებს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები საკონტაქტო საათის თემატიკასთან შესაბამისი იყო. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსებით. მეცადინეობები მიმდინარეობდა საქმიან გარემოში და ორიენტირებული იყო ცოდნის მიღებაზე. პროფესიული განათლების მასწავლებლები ითვალისწინებდნენ რა მოდულის ათვისებისას შესაძლო სირთულეებს, ცდილობდნენ დიდი რაოდენობის თვალსაჩინოებების გამოყენებით, თემატიკა ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო. პროფესიული განათლების მასწავლებლები იყვნენ კომუნიკაბელურები და კეთილგანწყობილნი პროფესიულ სტუდენტთა მიმართ. თავის მხრივ, პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობა მოტივირებული იყო ცოდნის მისაღებად და აქტიურად ერთვებოდა სასწავლო პროცესში. პროფესიული სტუდენტები თავისუფლად საუბრობდნენ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ხარისხი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება სწავლების მიზანს.

ვერიფიკაციის შედეგები

კვლევის ფარგლებში შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და სწავლის შედეგების დადასტურება-არდადასტურების პირობები. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას, ვერიფიკაციის მიზანს წარმოადგენდა შეფასებულიყო, რამდენად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდა პროფესიული სტუდენტი.

ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, დირექტორის 2024 წლის 31 მაისის N64 ბრძანებით შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფები, რომლებსაც დაევალა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მტკიცებულებათა შეფასება. ვერიფიკაციის ჯგუფში შევიდნენ ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში. ვერიფიკაცია განხორციელდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. გამომდინარე იქიდან, რომ 2023 წლის მიღების ფარგლებში საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არ განხორციელდა, ამ პროგრამის ფარგლებში შეფასების მტკიცებულებათა ვერიფიკაცია არ მომხდარა. სამი პროგრამის ფარგლებში, შერჩევის მოცულობა განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიდან გამომდინარე. შერჩევას დაექვემდებარა 2023-2024 სასწავლო წელს შემუშავებული მტკიცებულებები.

ცხრილი #1 - მტკიცებულებათა რაოდენობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მოდულის სახელწოდება	მტკიცებულებათა რაოდენობა
საექთნო საქმე	**2023 წლის მიღების ჯგუფისთვის**	
	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	25%
	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	20%
	ანატომია-ფიზიოლოგია	50%
	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	50%
	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	20%
	ჰისტოლოგია	25%
	2022 წლის მიღების ჯგუფისთვის	
	პედიატრია და მოზარდები	20%

	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	25%
	შინმოვლა	30%
	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	20%
	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	25%
	2021 წლის მიღების ჯგუფისთვის	
	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	30%
	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	30%
	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	30%
	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	30%
ფარმაცია (სააფთიაქო)	**2023 წლის მიღების ჯგუფისთვის**	
	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	25%
	უცხოური ენა	30%
	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	20%
	პირველადი გადაუდებელი დახმარება	30%
	ბოტანიკა	20%
	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	25%
	2022 წლის მიღების ჯგუფისთვის	
	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	30%
	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	20%
	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	20%
	მორფოლოგია	25%
	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	30%
	მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება	30%

	ტოქსიკური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან ამოღება	20%
	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	30%
ინფორმაციის ტექნოლოგია	**2023 წლის მიღების ჯგუფისთვის**	
	ინფორმაციული წიგნიერება 1	50%
	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	20%
	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	30%
	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	20%
	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	20%

ვერიფიკაცია განხორციელდა ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე რისკ-ფაქტორების ჭრილში, შემდგომ კი მან მოიცვა მაღალი, საშუალო და დაბალი რისკ-ფაქტორები და თითოეული პროგრამის ფარგლებში, ერთიან ჭრილში შეფასდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით, კოლეჯის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა. ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ვერიფიკაციის ანგარიში.

ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ:

- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტურია.
- საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის:
  - ერთი მოდულის ფარგლებში არსებული მტკიცებულებების ვალიდურობის შეფასებისას გაიცა რეკომენდაცია - „სასურველია მოდულის შედეგების შესაბამისად შესრულების კრიტერიუმების იდენტიფიცირება. მითითებული სისტემების მიხედვით, დაავადების სპეციფიკის გათვალისწინებით“.
  - მოდულში „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ I, III და IV შედეგში პასუხების ფურცელზე დაფიქსირებული პასუხები არ ემთხვევა ტესტის პასუხებს.
  - შეფასების სისტემის ობიექტურობა ეჭვქვეშ დგება მხოლოდ ერთი მოდულის - „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ ფარგლებში, თუმცა ამას პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო შეფასებაზე გავლენა არ მოუხდენია.

- ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის:
    - მოდულში „პირველადი გადაუდებელი დახმარება“: მე-4 და მე-5 სწავლის შედეგში სიტუაციურ პრაქტიკულ დავალების აღმწერ ცხრილში პაციენტის ვიტალური პარამეტრები აღწერილი იყო არასწორად; დავალების შეფასების კრიტერიუმი რიგ შემთხვევაში არ იძლეოდა დადებითად შეფასების საშუალებას; დადასტურების პირობები მიზანშეწონილია გადაიხედოს.
    - მოდულში „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ მე-6 სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტში, შეფასების პროცესის აღწერაში მითითებული იყო AC გარემო, როდესაც აღნიშნული სწავლის შედეგი შეფასებისთვის განკუთვნილია C გარემო.
    - შეფასების სისტემის სანდოობა ეჭვქვეშ დგება მხოლოდ ერთი მოდულის „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ ფარგლებში. გაიცა რეკომენდაცია გადაიხედოს მე-7 და მე-8 სწავლის შედეგები.
- სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ იყო ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.
